REVIEW რეცენზია

სერგო ვარდოსანიძე

ცირა ჯანაშიას მონოგრაფია „თავადური მენტალობის საკითხი XVII საუკუნის საქართველოში იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ მიხედვით

2024 წელს გამომცემლობა მერიდიანმა დასტამბა ისტორიის დოქტორის, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის ცირა ჯანაშიას მონოგრაფია ,,თავადური მენტალობის საკითხი XVII საუკუნის საქართველოში იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ მიხედვით. სამეცნიერო რედაქტორები არიან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ისტორიისა და თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე. წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (პროექტი SP-23-762, ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორი ცირა ჯანაშია კორდინატორი-ისტორიის დოქტორი ქეთევან მანია).

წინამდებარე ნაშრომი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გვიანი შუა საუკუნეების შეუსწავლელი პრობლემის თავადური მენტალიტეტის გააზრების პირველ ცდას წარმოადგენს. გამოკვლევა შეეხება გვიანი შუა საუკუნეების არისტოკრატიული საზოგადოების მენტალიტეტს, მაგრამ ასევე გაანალიზებულია ქართულ წერილობით წყაროებში მოცემული სხვა პერიოდის მასალის განხილვაც. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. ერთვის ვრცელი ინგლისური რეზიუმე და დამოწმებული ლიტერატურა:

პირველ თავში, საკვლევი – პრობლემის მენტალობის საკითხის წყაროები და ისტორიოგრაფია, წარმოდგენილია აქვს წერილობითი წყაროების და ისტორიოგრაფიის ანალიზი. აქვე არის მსჯელობა კვლევის პროცესში სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზეცის „ისტორიათა წიგნში“, გამოვლენილ არაერთ უზუსტობასა და ტენდენციურობაზე: პირველად არაქელ თავრიზეცთან ფიქსირდება ბრალდება იმის შესახებ, რომ თითქოს გიორგი სააკაძემ ურჩია ირანის შაჰს, შაჰ-აბას I-ს (1578-1629) საქართველოში ზამთარში ლაშქრობა და გაუვალი ტყე, რომ ადვილად გადასალახი გამხდარიყო, ნაჯახებით და სხვადასხვა იარაღით ტყის გაკაფვა. არადა ტყის, ხეხილის, ბაღ-ვენახების გაკაფვის მეთოდი სხვა დამპყრობლებსაც აქვთ მანამდე გამოყენებული, თუნდაც თემურ-ლენგს. ასე, რომ შაჰ-აბასს წესით ეს უნდა სცოდნოდა და რომ მას ამ საკითხში გიორგი სააკაძის რჩევა არ დასჭირდებოდა.ამ ცნობამ მოგვიანებით ასახვა ჰპოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში: ბერი ეგნატაშვილთან (XVIII ს.) ვახუშტი ბატონიშვილთან (XVIII ს.).

გამორიცხული არ არის, ბერი ეგნატაშვილის „სწავლულ კაცებს“ „ახალი ქართლის ცხოვრების“ შედგენისას ხელთ ჰქონოდათ სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზეცის „ისტორიათა წიგნი“, რომელიც 1669 წელს დაიბეჭდა

ამსტერდამში. მეორე თავში შესწავლილია საგვარეულოების კვლევის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ვფიქრობთ, საგვარეულოების შესწავლის ისტორიოგრაფიული რეპრეზენტაციის გარეშე წარმოუდგენელია თავადური მენტალობის კვლევა. საკითხის ისტორიოგრაფიული ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1912-2021 წლებს. გაშუქებულია სათავადოს გაგებასთან დაკავშირებული არსებული ორი თვალსაზრისი ამავე თავშია წარმოდგენილი არაგვის საერისთაოს (XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე) შესწავლის მცდელობა. არაგვის საერისთაოს ახასიათებს ყველა ის სოციალურ-პოლიტიკური თვისება, რასაც ატარებს მისი მეზობელი სათავადოები. მათგან განსხვავებით არაგვის საერისთავო მიისწრაფვის აშკარად მეტი დამოუკიდებლობისაკენ. მას აქვს პრეტენზია კახეთის რიგ მამულებზე ანუ „საკახეთო მამულებზე“, რომელსაც თავისად თვლის და ამის გამო თავისებური დამოკიდებულება აქვს როგორც ქართლის, ასევე კახეთის მეფეებთან. არაგვის საერისთაო, როგორც გარკვეული ტერიტორიული ერთეული, ადრევე არსებობდა და ქართლის საერისთაოში შედიოდა.

ქართული წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე დადგენილია არაგვის საერისთაოს კახეთის მეფის ყმობაში გადასვლის თარიღი. ეს მოხდა 1569-1574 წლებში, როდესაც ქართლს დაუდ-ხანი განაგებდა. არაგვის საერისთაო კახეთის ყმობაში ჩანს ალექსანდრე II გარდაცვალებამდე (1605 წლამდე). შაჰ-აბას I შემოსევების დროს არაგვის საერისთაო კვლავ ქართლის შემადგენლობაშია. ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება თავადური მენტალობის საკითხს იოსებ თბილელის „დიდმოურავიანში“. კვლევა ოთხი ქვეთავით არის წარმოდგენილი. 1.იოსებ თბილელის ბიოგრაფიის ერთი დეტალის დაზუსტებისთვის. 2.იოსებ თბილელის მენტალური შეხედულებები. 3.რელიგიის საკითხი თავადურ მენტალობაში 4.აღზრდის ზოგიერთი საკითხი XVII საუკუნის საქართველოში იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის მიხედვით“.

წარმოდგენილ თავში გამოკვლეულია ქართული თავადური მენტალობის სხვადასხვა საკითხები: როგორიცაა, სამშობლოსადმი სიყვარული, მეფის ხელისუფლების უზენაესობის აღიარება და მისდამი ერთგულება, პირადი ინტერესების პრიორიტეტულობა, რელიგიის, სწავლა-განათლების და აღზრდის როლის გავლენა ინდივიდის სააზროვნო სისტემის (მენტალიტეტის) ჩამოყალიბებაში. იოსებ თბილელი თავის პოემაში აყალიბებს ზოგადსაკაცობრიო მაღალზნეობრივ იდეებს, მაგალითების ფონზე ისტორიულ პოემაში ნაჩვენებია, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი ზნეობრივად და მორალურად სრულყოფილი, როგორი უნდა იყოს ქრისტიანი ქართველი თავისი მენტალური მსოფლმხედველობით. აქვე მოცემულია აღორძინების ხანის პოეტის და საზოგადო მოღვაწის, თბილელი მიტროპოლიტ იოსების (სააკაძის), ისტორიული პოემის „დიდმოურავიანის“ და სხვა ქართული წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე, მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის დაზუსტება და მისი როგორც სასულიერო პირის შეხედულებები. ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ აჩვენა, რომ მენტალობის შესწავლა არ არის მარტოოდენ ისტორიკოსთა პრეროგატივა. საჭიროა, სხვა ხელშემწყობ პირობებთან ერთად, მჭიდრო

კავშირი ჰუმანიტარული მეცნიერების სპეციალისტებთან ისტორიკოსების და ფილოლოგების ერთობლივი ჯგუფების მომზადების მიზნით. აგრეთვე, სასურველ შედეგს მოგვცემდა მუშაობაში ფილოსოფოსთა და ფსიქოლოგთა ჩართულობაც. ამასთან, აუცილებელია მენტალობასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა დასავლეთ ევროპული ენებიდან ქართულ ენაზე. მონოგრაფია, მეგზურობას გაუწევს მომავალში უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს და საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

SERGO VARDOSANIDZE

TSIRA JANASHIA'S MONOGRAPH "THE ISSUE OF TAVADURI MENTALITY IN XVII CENTURY GEORGIA ACCORDING TO IOSEB TBILELI'S "DIDMOURAVIANI"

Abstract

In 2024, the publishing house Meridiani published the monograph of Tsira Janashia, doctor of history, researcher at the Institute of History of the Tskhum-Apkhazeti Academy of Sciences, "The issue of Noblemen mentality in the XVII century Georgia according to Ioseb Tbileli's "Didmouraviani". Scientific editors are academician Roin Metreveli, Doctor of History, Professor Sergo Vardosanidze, Doctor of History and Theology. The book was published with the support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (project SP-23-762, the head is Doctor of History Tsira Janashia, the coordinator is Doctor of History Ketevan Mania).

Based on the analysis of the historical poem "Didmouraviani" by the Metropolitan of Tbilisi Ioseb Tbileli (Saakadze) and other Georgian written sources, the monograph presents various issues of the Georgian noblemen mentality in 17th-century Georgia such as love for the homeland, recognition and devotion to the supremacy of the king's authority, the priority of personal interests, the role of religion, education and upbringing in the formation of a person. It also discusses some details of the biography of Ioseb Tbileli, his mental views as a clergyman, the essence of Satavados and the genealogies, the history of Aragvis Saeristavo (the Duchy of Aragvi) at the turn of XVI-XVII centuries. The monograph is the first attempt to study tavadis' mentality in scientific literature.